



## შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია

გავრცელება: საყოველთაო

19 მაისი, 2014 წელი

შედგენილია: ინგლისურ ენაზე

### შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

მე-11 სესია

31 მარტი - 11 აპრილი, 2014

### ზოგადი კომენტარი ნო. 1 (2014)

მუხლი 12: სამართლის წინაშე თანასწორად აღიარება

#### I. შესავალი

1. სამართლის წინაშე თანასწორობა არის ადამიანის უფლებების დაცვის ძირითადი, ზოგადი პრინციპი და აუცილებელია სხვა ადამიანის უფლებებით სარგებლობისთვის. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი სპეციალურ გარანტიას ითვალისწინებენ სამართლის წინაშე თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-12 მუხლი დამატებით აკონკრეტებს ამ სამოქალაქო უფლების შინაარსს და ყურადღებას ამახვილებს იმ სფეროებზე, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებს ტრადიციულად უარყოფდნენ. მე-12 მუხლი არ ითვალისწინებს დამატებით უფლებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის; ის მხოლოდ აღწერს იმ კონკრეტულ ელემენტებს, რომლებიც წევრმა სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს, რათა უზრუნველყონ სამართლის წინაშე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორობა სხვებთან თანაბარ პირობებში.

2. ამ მუხლის მნიშვნელობის გათვალისწინებით, კომიტეტი ხელს უწყობდა ინტერაქციული ფორუმების არსებობას სამართალუნარიანობაზე მსჯელობისთვის. მე-12 მუხლის დებულებებთან დაკავშირებით ექსპერტების, წევრი სახელმწიფოების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ხელშეკრულების მონიტორინგის ორგანოების, ეროვნული ადამიანის უფლებათა ინსტიტუტებისა და გაეროს ორგანოების მიერ გამოთქმული ძალიან სასარგებლო მოსაზრებების გათვალისწინებით, კომიტეტმა აუცილებლად ჩათვალა ამ საკითხზე დამატებითი სახელმძღვანელო განმარტების გაკეთება ზოგადი კომენტარის სახით.

3. კომიტეტის მიერ ამ დრომდე განხილული სხვადასხვა წევრი სახელმწიფოს პირველად ანგარიშებზე დაყრდნობით კომიტეტი ასკვნის, რომ საყოველთაო გაუგებრობას ვაწყდებით წევრი სახელმწიფოების, კონვენციის მე-12 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების მოცულობასთან დაკავშირებით. მართლაც, საზოგადოდ ვერ მოხერხდა იმის გააზრება, რომ

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეზღუდული შესაძლებლობების მოდელი გულისხმობს გადასვლას გადაწყვეტილების მიღებაში ჩანაცვლების პარადიგმიდან გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის პარადიგმაზე. წინამდებარე ზოგადი კომენტარის მიზანია გამოიკვილოს მე-12 მუხლის სხვადასხვა კომპონენტებიდან გამომდინარე ზოგადი ვალდებულებები.

4. წინამდებარე ზოგადი კომენტარი ასახავს მე-12 მუხლის განმარტებას, რომელიც დაფუძნებულია კონვენციის ზოგად პრინციპებზე, რაც ჩამოყალიბებულია მე-3 მუხლში, კერძოდ თანდაყოლილი ღირსების, ინდივიდის ავტონომიის, მათ შორის არჩევანის თავისუფლების და პიროვნების დამოუკიდებლობის პატივისცემაზე; დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე; საზოგადოებაში სრულყოფილ და ეფექტურ ჩართვასა და მონაწილეობაზე; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსხვავებულობის პატივისცემასა და მიღებაზე, რაც ადამიანთა მრავალფეროვნების და ადამიანურობის ნაწილია; თანაბარ შესაძლებლობებზე; ხელმისაწვდომობაზე; ქალთა და მამაკაცთა თანასწორობაზე; და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განვითარებადი უნარების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიერ თავიანთი იდენტობის შენარჩუნების უფლების პატივისცემაზე.

5. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია - ყველა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამართლის წინაშე თანასწორად აღიარების უფლება მოქმედებს „ყველგან“. სხვა სიტყვებით, საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართლის თანახმად არ არსებობს პირობები, რომლებშიც დასაშვებია იქნებოდა სამართლის სუბიექტად აღიარების უფლების ჩამორთმევა პირისთვის, ან რომლებშიც შესაძლებელი იქნებოდა ამ უფლების შეზღუდვა. ეს განმტკიცებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით, რომელიც არ უშვებს ამ უფლების შეზღუდვას საჯარო საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი. მართალია, სამართლის სუბიექტად აღიარების უფლების შეზღუდვის ექვივალენტური აკრძალვა არ გვხვდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაში, მაგრამ საერთაშორისო პაქტის დებულება მოქმედებს ამ შემთხვევაშიც კონვენციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის წყალობით, რომელიც ადგენს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია არ ცვლის არსებულ საერთაშორისო სამართალს.

6. სამართლის წინაშე თანასწორობის უფლება აგრეთვე ასახულია სხვა ფუნდამენტურ, საერთაშორისო და რეგიონალურ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებში. ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-15 მუხლი შეიცავს სამართლის წინაშე ქალთა თანასწორობის გარანტიას და მოითხოვს მათი სამართალუნარიანობის აღიარებას მამაკაცებთან თანაბარ პირობებში, *inter alia* ხელშეკრულების დადების, საკუთრების მართვის და მართლმსაჯულების სისტემაში მათი უფლებებით სარგებლობის სფეროებშიც. ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის მე-3 მუხლი ადგენს ყველა ადამიანის უფლებას სამართლის წინაშე თანასწორობასა და სამართლის თანასწორი დაცვით სარგებლობაზე. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-3 მუხლი ადგენს სამართალსუბიექტობის უფლებას და ყველა პირის უფლებას აღიარონ მისი სამართალსუბიექტობა.

7. წევრმა სახელმწიფოებმა ჰოლისტიკურად უნდა შეისწავლონ სამართლის ყველა სფერო, რათა უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლება სამართალუნარიანობაზე არ იზღუდება სხვებთან შედარებით უთანასწორო პირობებში. ისტორიულად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დისკრიმინაციულად და ბევრ სფეროში ეუბნებოდნენ უარს სამართალუნარიანობის უფლებაზე, რისი გამოხატულებაცაა გადაწყვეტილების მიღებაში ჩანაცვლების რეჟიმები, როგორცაა მეურვეობა, კონსერვატორიზმი და ფსიქიატრიული ჯანმრთელობის კანონმდებლობა, რომელიც უშვებს იძულებით მკურნალობას. ამ ტიპის მიდგომები უნდა გაუქმდეს, რათა სრული სამართალუნარიანობა აღუდგეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სხვებთან თანაბარ პირობებში.

8. კონვენციის მე-12 მუხლის ადასტურებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირს აქვს სრული სამართალუნარიანობა. მიკერძოების გამო სამართალუნარიანობაზე ისტორიულად უარს ეუბნებოდნენ ბევრ ჯგუფს, მათ შორის ქალებს (განსაკუთრებით ქორწინებისას) და ეთნიკურ უმცირესობებს. თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები რჩებიან იმ ჯგუფად, რომელთა სამართალუნარიანობა ყველაზე ხშირად არის უარყოფილი მთელი მსოფლიოს სამართლებრივ სისტემებში. სამართლის წინაშე თანასწორად აღიარების უფლება გულისხმობს, რომ სამართალუნარიანობა არის ყველა პირის უნივერსალური თანდაყოლილი მახასიათებელი იმის გამო, რომ ისინი ადამიანები არიან და უნდა იქნეს დაცული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შემთხვევაშიც სხვებთან თანასწორ პირობებში. სამართალუნარიანობა აუცილებელია სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით სარგებლობისთვის. ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, როდესაც მათ უხდება ფუნდამენტური გადაწყვეტილებების მიღება მათ ჯანმრთელობასთან, განათლებასთან და სამსახურთან დაკავშირებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამართალუნარიანობის უარყოფამ ბევრ შემთხვევაში გამოიწვია მათი ფუნდამენტური უფლებების ჩამორთმევა, მათ შორის არჩევნებში მონაწილეობის უფლების, ქორწინების და ოჯახის შექმნის უფლების, რეპროდუქციული უფლებების, მშობლის უფლებების, ახლო ურთიერთობებზე და სამედიცინო მკურნალობაზე თანხმობის უფლების და ავტონომიურობის უფლების.

9. სამართალუნარიანობაზე უარი და გადაწყვეტილების მიღებაში ჩანაცვლება შეიძლება შეეხოს ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, მათ შორის ისეთებსაც, ვისაც აქვს ფიზიკური, გონებრივი, ინტელექტუალური ან მგრძნობელობითი დარღვევები. თუმცა, კოგნიტური და ფსიქოსოციალური შეზღუდვების მქონე პირებს განსაკუთრებით ეხებოდათ და ჯერაც ეხებათ გადაწყვეტილების მიღებაში ჩანაცვლების რეჟიმები და სამართალუნარიანობაზე უარის თქმა. კომიტეტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, ან რაიმე დარღვევის (ფიზიკური თუ მგრძნობელობითი დარღვევის) არსებობა არასდროს უნდა გახდეს საფუძველი სამართალუნარიანობაზე ან ნებისმიერ იმ უფლებაზე უარის თქმისთვის, რაც გათვალისწინებულია მე-12 მუხლით. ყველა ქმედება რაც მიზნად ისახავს ან იწვევს მე-12 მუხლის დარღვევას უნდა აღიკვეთოს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სრული სამართალუნარიანობის აღდგენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სხვებთან თანასწორ პირობებში.

10. ეს ზოგადი კომენტარი ყურადღებას ამახვილებს მე-12 მუხლის ნორმატიულ შინაარსზე და მისგან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებებზე. კომიტეტი განაგრძობს ამ სფეროში მუშაობას იმისთვის, რომ დასკვნით შენიშვნებში, ზოგად კომენტარებსა და სხვა დოკუმენტებში სამომავლოდ კიდევ უფრო ჩაღრმავებული სახელმძღვანელო განმარტება ჩამოაყალიბოს მე-12 მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

## II. მე-12 მუხლის ნორმატიული შინაარსი

### მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი

11. მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი ხაზს უსვამს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებას აღიარონ სამართლის სუბიექტებად. ეს უზრუნველყოფს, რომ ყველა ადამიანს პატივს სცემენ, როგორც სამართალსუბიექტობის მქონე პირს, რაც აუცილებელი პირობაა პირის სამართალუნარიანობის აღიარებისთვის.

### მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი

12. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი აღიარებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვს სამართალუნარიანობა ცხოვრების ყველა სფეროში სხვა პირებთან თანასწორ პირობებში. სამართალუნარიანობა მოიცავს როგორც უნარს გქონდეს უფლებები, ასევე უნარს იმოქმედო სამართლის შესაბამისად. უფლებების ქონის სამართლებრივი უნარი ანიჭებს პირს მისი

უფლებების სრულ დაცვას სამართლებრივი სისტემის მიერ. სამართალუნარიანობა იმოქმედო სამართლის შესაბამისად აღიარებს პირს სუბიექტად, რომელსაც აქვს უფლებამოსილება მონაწილეობა მიიღოს გარიგებებში და შექმნას, შეცვალოს ან დაასრულოს სამართლებრივი ურთიერთობები. სამართლის სუბიექტად აღიარების უფლება გათვალისწინებულია კონვენციის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტით, რომელიც განსაზღვრავს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას „მიიღონ ყველა სათანადო და ეფექტური ზომა, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორი უფლება საკუთრების ფლობასა და მემკვიდრეობით მიღებაზე, საკუთარი ფინანსური საკითხების მართვაზე, საბანკო სესხების, იპოთეკის და ფინანსური კრედიტის სხვა ფორმების თანაბარი ხელმისაწვდომობაზე და .. უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს თვითნებურად არ ჩამოართვეთ საკუთრება.“

13. სამართლებრივი უნარი და გონებრივი უნარი განსხვავებული ცნებებია. სამართალუნარიანობა არის უფლებებისა და მოვალეობის ქონის უნარი (უფლებაუნარიანობა) და ამ უფლებებითა და მოვალეობებით სარგებლობის უნარი (ქმედუნარიანობა). ის გადამწყვეტია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად ჩართვის მიღწევისთვის. გონებრივი უნარი აღნიშნავს პირის გადაწყვეტილების მიღების უნარს, რომელიც ყველა პირის შემთხვევაში განსხვავებულია და კონკრეტული პირის შემთხვევაშიც განსხვავებული შეიძლება იყოს ბევრი სხვა ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური ფაქტორების გამოც. სამართლებრივი აქტები, როგორცაა დამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მუხლი 6), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (მუხლი 16) და ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (მუხლი 15) არ აზუსტებენ განსხვავებას გონებრივ და სამართლებრივ უნარს შორის. თუმცადა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების კონვენციის მე-12 მუხლი ცხადყოფს, რომ „სულიერო ავადმყოფობა“ ან სხვა დისკრიმინაციული დამლა არ წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზეზს სამართალუნარიანობაზე უარის თქმისთვის (როგორც უფლებაუნარიანობის, ისე ქმედუნარიანობის ნაწილში). კონვენციის მე-12 მუხლის მიხედვით, გონებრივი უნარების აღქმული ან ობიექტურად არსებული დეფიციტი არ უნდა იქნეს გამოყენებული სამართალუნარიანობაზე უარის თქმის გამართლებად.

14. სამართალუნარიანობა არის თანდაყოლილი უფლება, რომელიც ენიჭება ყველა ადამიანს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ის შედგება ორი კომპონენტისგან. პირველი არის უფლებების ქონის სამართლებრივი სტატუსი და სამართლის წინაშე სუბიექტად (სამართლებრივ პირად) აღიარება. ეს შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, დაბადების მოწმობის ქონას, სამედიცინო დახმარების მოძიებას, საარჩევნო სიაში შეყვანას და პასპორტის მისაღებად განაცხადის შეტანას. მეორე არის ქმედუნარიანობა, რომელიც საშუალებას იძლევა იმოქმედო ზემოხსენებული უფლებების შესაბამისად, და შენი მოქმედებები ცნოს სამართალმა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სწორედ ამ კომპონენტის უარყოფა ან შეზღუდვა ხდება ხშირად. მაგალითად, სამართალი შეიძლება აძლევდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ქონებაზე საკუთრების უფლებას, მაგრამ ყოველთვის არ სცემდეს პატივს მის მიერ განხორციელებულ მოქმედებებს ამ ქონების ყიდვასთან ან გაყიდვასთან დაკავშირებით. სამართალუნარიანობა ნიშნავს, რომ ყველა პირს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩათვლით გააჩნიათ უფლებაუნარიანობაც და ქმედუნარიანობაც, მხოლოდ იმის გამო, რომ ადამიანები არიან. შესაბამისად, სამართალუნარიანობის ორივე ასპექტი უნდა იქნეს აღიარებული იმისთვის, რომ სამართალუნარიანობის უფლება იყოს დაცული; მათი განცალკევება შეუძლებელია. გონებრივი უნარის ცნება უადრესად წინააღმდეგობრივია თავისთავად. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად სხვაგვარად წარმოაჩენენ, გონებრივი უნარი არ არის ობიექტური, მეცნიერული ფენომენი, რომელიც ბუნებაში ხდება. გონებრივი უნარი დამოკიდებულია სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტზე, ისევე როგორც იმ სამეცნიერო დისციპლინებზე, პროფესიებსა და პრაქტიკაზე, რომელიც დომინანტურ როლს ასრულებს გონებრივი უნარის შეფასებაში.

15. კომიტეტის მიერ შესწავლილი წევრი სახელმწიფოების ანგარიშების უმრავლესობაში, ერთმანეთზეა გადაჯაჭვული გონებრივი და სამართლებრივი უნარიანობა. ამგვარად, როდესაც ჩაითვლება, რომ პირს აქვს გადაწყვეტილების მიღების უნარების თვალსაზრისით დარღვევა, ხშირად კოგნიტური ან ფსიქო-სოციალური შესაძლებლობის შეზღუდვის გამო, კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებისთვის საჭირო სამართალუნარიანობაც უქმდება. ეს ხდება მარტივად, დარღვევის შესახებ დიაგნოზის საფუძველზე (სტატუსზე დაფუძნებული მიდგომა), ან როდესაც პირი იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ითვლება, რომ ნეგატიურ შედეგებს გამოიღებს (შედეგზე დაფუძნებული მიდგომა), ან როდესაც პირის გადაწყვეტილების მიღების უნარები არასრულფასოვნად მიიჩნევა (ფუნქციონალური მიდგომა). ფუნქციონალური მიდგომა ცდილობს შეაფასოს გონებრივი უნარი და ამის გათვალისწინებით უარყოს სამართალუნარიანობა. ის ხშირად ეფუძნება იმის შეფასებას, შეუძლია თუ არა პირს გაიგოს მისი გადაწყვეტილების არსი და შედეგები ან/და შეუძლია თუ არა მას აწონდაწონოს და გამოიყენოს რელევანტური ინფორმაცია. ეს მიდგომა ხარვეზიანი ორი მთავრი მიზეზის გამო: ა. ის დისკრიმინაციულად გამოიყენება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ; და ბ. ის ეფუძნება დაშვებას, რომ შესაძლებელია აკურატულად შეფასდეს ადამიანის გონების შიდა ფუნქციონირების საკითხები, და როდესაც პირი ვერ გაივლის შემოწმებას, ეს იწვევს ადამიანის ფუნდამენტური უფლების – სამართლის წინაშე თანასწორად აღიარების უფლების უარყოფას. ყველა ეს მიდგომა პირის შეზღუდულ შესაძლებლობას და/ან მის გადაწყვეტილების მიღების უნარებს მიიჩნევს ლეგიტიმურ საფუძვლად, რათა პირს უარი უთხრან სამართალუნარიანობაზე და დაამცირონ მისი, როგორც სამართლის სუბიექტის სტატუსი. მე-12 მუხლი არ უშვებს სამართალუნარიანობის ამგვარ დისკრიმინაციულ უარყოფას და ამის ნაცვლად მოითხოვს, რომ პირს აღმოუჩინონ მხარდაჭერა თავისი სამართალუნარიანობით სარგებლობისას.

### **მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი**

16. მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი აღიარებს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უზრუნველყონ მათი სამართალუნარიანობის განხორციელებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერით. წევრმა სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სამართალუნარიანობაზე უარის თქმისგან და ამის ნაცვლად, უნდა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წვდომა იმ მხარდაჭერაზე, რაც შესაძლებელს გახდის მათთვის სამართლებრივი შედეგების მქონე გადაწყვეტილებები მიიღონ.

17. მხარდაჭერა სამართალუნარიანობის განხორციელებისას პატივს უნდა სცემდეს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებს, ნებას და არჩევას და არ უნდა იქცეს გადაწყვეტილების მიღებაში შესაბამისი პირების ჩანაცვლებად. მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი არ აკონკრეტებს რა ფორმის მხარდაჭერაზეა საუბარი. „მხარდაჭერა“ არის ფართო ტერმინი, რაც მოიცავს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური მხარდაჭერის ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება განსხვავებული ტიპის და ინტენსივობის იყოს. მაგალითად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა შეიძლება აირჩიოს ერთი ან მეტი სანდო ადამიანი მხარდაჭერისთვის, რომელიც დაეხმარება მას სამართალუნარიანობის განხორციელებაში გაკრვეული ტიპის გადაწყვეტილებების მიღებისას. შეიძლება გამოყენებული იქნეს მხარდაჭერის სხვა ფორმები, როგორცაა იგივე მდგომარეობაში მყოფი პირების მხარდაჭერა, უფლებების დაცვა (მათ შორის მხარდაჭერა, რომ თვითონ დაიცვას პირმა თავი) ან დახმარება კომუნიკაციაში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერა მათ სამართალუნარიანობის განხორციელებისას შეიძლება მოიცავდეს ზომებს, რაც უკავშირდება ყველასთვის გამოსადეგ (უნივერსალურ) დიზაინს და ხელმისაწვდომობას – მაგალითია კერძო და საჯარო პირებისთვის, როგორცაა ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები, იმის მოთხოვა, რომ ინფორმაცია გასცენ გასაგებ ფორმატში ან უზრუნველყონ ქესტების ენის პროფესიონალური თარგმნა. ამგვარი ზომები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მისცემს საშუალებას განახორციელონ სამართლებრივი მნიშვნელობის ქმედებები, რაც საჭიროა

ბანკის ანგარიშის გახსნისას, ხელშეკრულებების დადების ან სხვა სოციალური გარიგებების განხორციელებისას. მხარდაჭერა შეიძლება აგრეთვე წარმოდგენილი იქნეს კომუნიკაციის განსხვავებული, არატრადიციული მეთოდების განვითარებისა და აღიარების სახით, განსაკუთრებით მათთვის, ვინც იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს მათი ნების და არჩევანის გადმოსაცემად. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბევრი პირისთვის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ფორმაა წინასწარი დაგეგმვის შესაძლებლობა, როდესაც მათ შეუძლიათ დააფიქსირონ მათი ნება და არჩევანი. ეს ნება და არჩევანი უნდა შესრულდეს მოგვიანებით, როდესაც ამ პირების მდგომარეობა შეიცვლება და მათ აღარ ექნებათ სხვებისთვის საკუთარი სურვილების შეტყობინების შესაძლებლობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირს აქვს უფლება დაკავდეს წინასწარი დაგეგმვით და უნდა მიეცეს ამის შესაძლებლობა სხვებთან თანასწორ პირობებში. სახელმწიფოებმა შეიძლება გაითვალისწინონ წინასწარი დაგეგმვის მექანიზმების სხვადასხვა ფორმები იმისთვის, რომ ანგარიში გაუწიონ სხვადასხვა ტიპის სურვილებს, მაგრამ ალტერნატივები არ უნდა იყოს დისკრიმინაციული. მხარდაჭერა უნდა გაეწიოს პირს, როდესაც მას ეს სურს, რათა ბოლომდე იქნეს მიყვანილი წინასწარი დაგეგმვის პროცესი. წინასწარ მომზადებული მითითება რა მომენტში ამოქმედდება (და როდის შეწყვეტს მოქმედებას) უნდა გადაწყვიტოს პირმა და ასახული უნდა იქნეს მითითების ტექსტში; ეს საკითხი არ უნდა წყდებოდეს იმ შეფასების საფუძველზე, რომ პირს არ გააჩნია გონებრივი უნარი.

18. მხარდაჭერის ტიპი და ინტენსივობა, რაც უნდა გაეწიოს პირს მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება ყველა პირის შემთხვევაში რადგან შეზღუდული შესაძლებლობები მრავალგვარია. ეს შესაბამისობაშია მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტთან, რომელიც მოითხოვს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი განსხვავებულობის პატივისცემას და მიღებას, რაც ადამიანთა მრავალფეროვნებისა და ადამიანურობის ნაწილია“, რაც კონვენციის ზოგადი პრინციპია. ნებისმიერ მომენტში, მათ შორის კრიზისულ პერიოდშიც, პატივი უნდა სცენ ინდივიდის ავტონომიას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უნარს მიიღონ გადაწყვეტილებები.

19. ზოგიერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მხოლოდ საკუთარი სამართალუნარიანობის უფლების აღიარებას მოითხოვს, რასაც ითვალისწინებს კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი; მათ შეიძლება არ სურდეთ ისარგებლონ მხარდაჭერის უფლებით, რასაც ითვალისწინებს მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი.

#### **მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი**

20. მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი გამოყოფს იმ გარანტიებს, რომელსაც უნდა შეიცავდეს სამართალუნარიანობის განხორციელებაში მხარდაჭერის სისტემა. მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი წაკითხული უნდა იქნეს მე-12 მუხლის სხვა პუნქტებთან და მთელ კონვენციასთან კავშირში. ის მოითხოვს წვერი სახელმწიფოებისგან შექმნან სათანადო და ეფექტური გარანტიები სამართალუნარიანობით სარგებლობისთვის. ამ გარანტიების პირველადი მიზანი უნდა იყოს პირის უფლებების, ნებისა და არჩევანის პატივისცემის უზრუნველყოფა. ამის მისაღწევად, გარანტიები უნდა არსებობდეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად სხვებთან თანაბარ პირობებში.

21. როდესაც მნიშვნელოვანი ძალისხმევის გაწევის შემდეგ, მიუღწევადი რჩება ინდივიდის ნებისა და არჩევანის დადგენა, „ნებისა და არჩევანის საუკეთესო განმარტებამ“ უნდა ჩაანაცვლოს „საუკეთესო ინტერესების“ განსაზღვრა. ეს გამოხატავს პატივისცემას ინდივიდის უფლებების, ნებისა და არჩევანის მიმართ მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად. „საუკეთესო ინტერესების“ პრინციპი არ წარმოადგენს გარანტიას, რომელიც შეესაბამება მე-12 მუხლს სრულყოფილ პირებთან მიმართებით. „ნებისა და არჩევანის“ პარადიგმამ უნდა ჩაანაცვლოს „საუკეთესო სურვილების“ პარადიგმა იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სარგებლობენ სამართალუნარიანობით სხვა პირებთან თანაბარ პირობებში.

22. ყველა ადამიანს ემუქრება საფრთხე, რომ „არაჯეროვანი გავლენის“ ქვეშ მოექცეს; ეს რისკი განსაკუთრებით მწვავეა მათთვის, ვინც ეყრდნობა სხვა პირების მხარდაჭერას გადაწყვეტილებების მისაღებად. არაჯეროვან გავლენას ადგილი აქვს როდესაც მხარდაჭერით მოსარგებლე პირსა და მხარდამჭერ პირს შორის ინტერაქცია თვისობრივად ხასიათდება შიშის, აგრესიის, მუქარის, მოტყუების ან მანიპულაციის ნიშნებით. სამართალუნარიანობის განხორციელების გარანტიები უნდა მოიცავდნენ დაცვას არაჯეროვანი გავლენისგან; თუმცადა, დაცვისას საჭიროა პირის უფლებების, ნების და არჩევანის პატივისცემა, მათ შორის რისკის გაწვევის და შეცდომის დაშვების უფლების პატივისცემაც.

### **მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი**

23. მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი მოითხოვს წევრი სახელმწიფოსგან ზომების მიღებას, მათ შორის საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სასამართლო და სხვა პრაქტიკული ზომების მიღებას, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებები ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებში, სხვებთან თანასწორ პირობებში. ფინანსებისა და ქონების ხელმისაწვდომობაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ტრადიციულად უარს ეუბნებოდნენ შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელის საფუძველზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ფინანსურ საქმეებში სამართალუნარიანობაზე უარის თქმის მიდგომა უნდა შეიცვალოს სამართალუნარიანობის განხორციელებაში მხარდაჭერით მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად. როგორც გენდერი არ შეიძლება იქნეს გამოყენებული დისკრიმინაციის საფუძვლად ფინანსებისა და საკუთრების სფეროში<sup>1</sup>, ისევეა შეზღუდული შესაძლებლობაზე.

### **III. წევრი სახელმწიფოების ვალდებულებები**

24. წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, რომ პატივი სცენ, დაიცვან და უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის უფლება სამართლის წინაშე თანასწორად აღიარებაზე. ამ თვალსაზრისით, წევრმა სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი ქმედებებისგან, რაც ართმევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს სამართლის წინაშე თანასწორი აღიარების უფლებას. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ აღკვეთონ არასახელმწიფო სუბიექტებისა და კერძო პირების მიერ ჩარევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შესაძლებლობებში განახორციელონ და ისარგებლონ თავიანთი უფლებებით, მათ შორის სამართალუნარიანობის უფლებით. სამართალუნარიანობის განხორციელებაში მხარდაჭერის ერთ-ერთი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებში საკუთარი თავის რწმენის და უნარების განვითარება, რათა მათ მომავალში შეძლონ ნაკლები მხარდაჭერით განახორციელონ საკუთარი სამართალუნარიანობა, თუ ასე მოისურვებენ. წევრ სახელმწიფოებს აქვს ვალდებულება ტრენინგი ჩაუტარონ პირებს, რომლებიც იღებენ მხარდაჭერას, რათა მათ შეძლონ გადაწყვეტა როდის იქნება საჭირო ნაკლები მხარდაჭერა ან როდის აღარ დაჭირდებათ მხარდაჭერა მათი სამართალუნარიანობის განხორციელებისას.

25. იმისთვის, რომ სრულად მოხდეს „საყოველთაო სამართალუნარიანობის“ აღიარება, სადაც ყველა პირს, მიუხედავად შესაძლებლობის შეზღუდვისა ან გადაწყვეტილების მიღების უნარებისა, თანდაყოლილად გააჩნია სამართალუნარიანობა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეწყვიტონ სამართალუნარიანობაზე უარის თქმა, რაც მიზნის ან შედეგის მიხედვით დისკრიმინაციულია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.<sup>2</sup>

<sup>1</sup> იხილეთ ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, მუხლი 13, პუნქტი „ბ“.

<sup>2</sup> იხილეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მე-2 მუხლი მე-5 მუხლთან კავშირში.

25. წვერი სახელმწიფოების პირველადი ანგარიშების პასუხად მიღებულ დასკვნით შენიშვნებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი გამუდმებით აღნიშნავს მე-12 მუხლთან მიმართებით, რომ წვერმა სახელმწიფოებმა უნდა „გადასინჯონ კანონმდებლობა მეურვეობასა და მზრუნველობასთან დაკავშირებით და მიიღონ ზომები იმგვარი კანონებისა და პოლიტიკის განვითარებისთვის, რომელიც შეცვლის გადაწყვეტილების მიღებაში ჩანაცვლების რეჟიმს გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერით, რაც პატივს სცემს პირის ავტონომიას, ნებას და არჩევანს.“

27. გადაწყვეტილების მიღებაში ჩანაცვლების რეჟიმები სხვადასხვანაირი ფორმით გხვდება, მათ შორისაა სრულუფლებიანი მეურვეობა, სასამართლოს მიერ ქმედუნარიანობის ჩამორთმევა და ნაწილობრივი მეურვეობა. თუმცადა, ამ რეჟიმებს გააჩნიათ საერთო ნიშნები: ისინი შეიძლება განვიხილოთ სისტემებად სადაც 1) პირს ართმევენ სამართალუნარიანობას, თუნდაც ეს ხდებოდეს მხოლოდ ერთ გადაწყვეტილებასთან მიმართებით; 2) დაინტერესებული პირის ნაცვლად სხვა პირი ნიშნავს გადაწყვეტილების მიღებ პირს, რომელიც ჩანაცვლებს დაინტერესებულ პირს და ეს შეიძლება მოხდეს მისი ნების წინააღმდეგ; 3) იმ პირის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ანაცვლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, დაფუძნებულია იმაზე, რაც მიიჩნევა, რომ დაინტერესებული პირისთვის ობიექტურად „საუკეთესო ინტერესს“ წარმოადგენს იმის ნაცვლად, რომ სისტემა დაფუძნებული იყოს პირის საკუთარ ნებასა და არჩევანზე.

28. წვერი სახელმწიფოების ვალდებულება გადაწყვეტილების მიღებაში ჩანაცვლების მოდელი შეცვალონ გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოდელით მოითხოვს როგორც გადაწყვეტილების მიღებაში ჩანაცვლების მოდელის გაუქმებას, ასევე გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის ალტერნატივის განვითარებას. გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის სისტემის განვითარება გადაწყვეტილების მიღებაში ჩანაცვლების სისტემის შენარჩუნების პარალელურად არ არის საკმარისი კონვენციის მე-12 მუხლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

29. გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის რეჟიმი მოიცავს მხარდაჭერის განსხვავებულ ვარიანტებს, რომლებშიც უპირატესობა ენიჭება პირის ნებას და არჩევანს და ადამიანის უფლებების ნორმების პატივისცემას. ის უნდა იცავდეს ყველა უფლებას, მათ შორის ავტონომიას (სამართალუნარიანობის უფლება, სამართლის წინაშე თანასწორად აღიარების უფლება, საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება, ა.შ.) და არასათანადო მოპყრობისა და ხელყოფისგან თავისუფლებას (სიცოცხლის უფლებას, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებას, ა.შ.). ამასთან, გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის სისტემები ზედმეტად არ უნდა არეგულირებდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრებას. მართალია გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის რეჟიმები სხვადასხვა ფორმით შეიძლება არსებობდეს, მაგრამ თითოეული უნდა ითვალისწინებდეს გარკვეულ ძირეულ დებულებებს იმისთვის, რომ კონვენციის მე-12 მუხლთან შესაბამისობაში იყოს, მათ შორის შემდეგს:

ა. გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის. მხარდაჭერასთან დაკავშირებით ადამიანის საჭიროების დონე, განსაკუთრებით როდესაც ეს დონე ძალიან მაღალია, არ უნდა იქნეს ხელისშემშლელად გადაწყვეტილებებში მხარდაჭერის მიღებისათვის.

ბ. სამართალუნარიანობის განხორციელებაში მხარდაჭერის ნებისმიერი ფორმა, მხარდაჭერის უფრო ინტენსიური ფორმების ჩათვლით, უნდა ეფუძნებოდეს პირის ნებასა და არჩევანს და არა იმას, თუ რას მიიჩნევენ ობიექტურად ამ პირის საუკეთესო ინტერესად;

გ. კომუნიკაციის ფორმა, რომელსაც პირი იყენებს, არ უნდა იქცეს ხელისშემშლელად გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის მოპოვებისთვის, მაშინაც კი როდესაც კომუნიკაციას არატრადიციული სახე აქვს, ან მას მხოლოდ მცირე რაოდენობის ადამიანები იგებენ;

დ. პირების მიერ ოფიციალურად არჩეული მხარდაჭერი პირების სამართლებრივი აღიარება ხელმისაწვდომი და შესაძლებელი უნდა იყოს; სახელმწიფოებს ევალებათ ხელი შეუწყონ



მხარდაჭერის არსებობას, განსაკუთრებით იმ პირებისთვის, რომლებიც იზოლირებულნი არიან და შეიძლება არ მიუწვდებოდეთ ხელი იმ მხარდაჭერაზე, რომელიც ბუნებრივად არსებობს საზოგადოებაში. ეს უნდა მოიცავდეს მესამე პირებისთვის მხარდამჭერი პირის ვინაობის გადამოწმების მექანიზმს, ასევე მექანიზმს, რომ მესამე პირებმა გაასაჩივრონ მხარდამჭერი პირის ქმედებები, თუ ისინი ჩათვლიან, რომ მხარდამჭერი პირი არ მოქმედებს დაინტერესებული პირის ნებისა და არჩევანის შესაბამისად;

ე) კონვენციის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოყალიბებული მოთხოვნის თანახმად წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყონ მოთხოვნილი მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა. აღნიშნული მოთხოვნის შესასრულებლად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მხარდაჭერა ხელმისაწვდომია ნომინალურ ფასად ან უფასოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და რომ ფინანსური რესურსების ნაკლებობა არ არის ბარიერი სამართალუნარიანობის განხორციელებაში მხარდაჭერის ხელმისაწვდომობისთვის;

ვ. გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერა არ უნდა იქნეს გამოყენებული იმის გასამართლებლად, რომ შეიზღუდოს შეზღუდული შესაძლებლობის პირების სხვა ფუნდამენტური უფლებები, განსაკუთრებით ხმის მიცემის უფლება, ქორწინების უფლება, სამოქალაქო პარტნიორობის უფლება და ოჯახის შექმნის უფლება, რეპროდუქციული უფლებები, მშობლების უფლებები, ახლო ურთიერთობებსა და სამედიცინო მკურნალობაზე თანხმობის მიცემის უფლება და ავტონომიის უფლება;

ზ) პირს უნდა ქონდეს უფლება უარი თქვას მხარდაჭერაზე და შეწყვიტოს ან შეცვალოს მხარდაჭერის ურთიერთობა ნებისმიერ დროს;

თ) გარანტიები უნდა ახდეს თან ყველა პროცესს, რაც უკავშირდება სამართალუნარიანობას და სამართალუნარიანობის განხორციელებაში მხარდაჭერას. გარანტიების მიზანია უზრუნველყონ, რომ პირის ნებას და არჩევანს პატივს სცემენ;

ი) სამართალუნარიანობის განსახორციელებლად მხარდაჭერით უზრუნველყოფა არ უნდა იყოს დამოკიდებული გონებრივი უნარის შეფასებაზე; მხარდაჭერის საჭიროების ახალი, არადისკრიმინაციული ინდიკატორებია საჭირო სამართალუნარიანობის განხორციელებაში მხარდაჭერის უზრუნველყოფისთვის.

30. სამართლის წინაშე თანასწორობის უფლება დიდი ხანია აღიარებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებად, რომელიც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტიდან მოდის. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები მოქმედებს იწყებენ რატიფიცირების მომენტიდან და წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ამ უფლებების რეალიზებისთვის. როგორც ასეთი, მე-12 მუხლით გათვალისწინებული უფლებები მოქმედებენ რატიფიცირების მომენტიდან და დაუყოვნებლივ რეალიზებას ექვემდებარებიან. მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამართალუნარიანობის განხორციელებაში მხარდაჭერის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სახელმწიფოს ვალდებულება ემსახურება სამართლის წინაშე თანასწორად აღიარების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლების განხორციელებას. „პროგრესული რეალიზება“ (მუხლი 4, პუნქტი 2) არ გამოიყენება მე-12 მუხლის დებულებების მიმართ. კონვენციის რატიფიცირებისას, წევრმა სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები მე-12 მუხლით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებისთვის. ეს ნაბიჯები უნდა იყოს გამიზნული, კარგად დაგეგმილი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და მათ ორგანიზაციებთან კონსულტაციას და მათ არსებით ჩართულობას უნდა მოიცავდეს.

#### IV. ურთიერთობა კონვენციის სხვა დებულებებთან

31. სამართალუნარიანობის აღიარება განუყოფლად არის დაკავშირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების კონვენციით გათვალისწინებული ბევრი სხვა ადამიანის უფლებით სარგებლობასთან, მათ შორის მართლმასჯულების ხელმისაწვდომობასთან

(მუხლი 13); ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არანებაყოფლობითი დაკავებისგან და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობისგან თავისუფლებასთან (მუხლი 14); ფიზიკური და გონებრივი ხელშეუხებლობის პატივისცემის უფლებასთან (მუხლი 17); გადაადგილების და მოქალაქეობის უფლებასთან (მუხლი 18); საცხოვრებლად პირის და ადგილის არჩევის უფლებასთან (მუხლი 19); გამოხატვის თავისუფლებასთან (მუხლი 21); ქორწინების და ოჯახის შექმნის უფლებასთან (მუხლი 23); სამედიცინო მკურნალობაზე თანხმობის მიცემის უფლებასთან (მუხლი 25); და არჩევნებში კანდიდატის დაყენების და კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებასთან (მუხლი 29), თუმცა ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. თუ პირი არ იქნება აღიარებული სამართლის სუბიექტად, ამ და კონვენციით გათვალისწინებული ბევრი სხვა უფლების მოთხოვნის, სარგებლობის და აღსრულების უნარი მნიშვნელოვნად ეჭვქვეშ დგება.

### **მუხლი 5: თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა**

32. იმისთვის, რომ მიღწეული იქნეს სამართლის წინაშე თანასწორად აღიარება მისაღწევად, სამართალუნარიანობის დისკრიმინაციულად უარყოფას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. კონვენციის მე-5 მუხლი ითვალისწინებს სამართლის წინაშე და სამართლის თანახმად თანასწორობის გარანტიას ყველა პირისთვის და სამართლის საფუძველზე თანასწორი დაცვის უფლებას. ის აშკარად კრძალავს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე. შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაცია განსაზღვრულია კონვენციის მე-2 მუხლით, როგორც ნებისმიერი „განსხვავება, ჩამოცილება ან შეზღუდვა შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე, რომლის მიზანი ან შედეგი არის მინიმუმდღე დაყვანა ან სრული უარყოფა სხვებთან თანასწორ პირობებში ყველა ადამიანის უფლების და ფუნდამენტური თავისუფლების აღიარების, სარგებლობის ან განხორციელებისა.“ სამართალუნარიანობის უარყოფა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს სამართლის წინაშე თანასწორად აღიარებაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებაში ჩარევას არის კონვენციის მე-5 და მე-12 მუხლების დარღვევა. სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა შეზღუდონ პირების სამართალუნარიანობა გარკვეული პირობების არსებობისას, როგორცაა გადახდისუნარიანობა ან სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება. თუმცა სამართლის წინაშე თანასწორად აღიარების უფლება და დისკრიმინაციის დაუშვებლობა მოითხოვს, რომ როდესაც სახელმწიფო უარყოფს სამართალუნარიანობას, ამის საფუძველი ყველასთვის საერთო უნდა იყოს. სამართალუნარიანობის უარყოფა არ უნდა ეფუძნებოდეს პიროვნულ ნიშანს, როგორცაა სქესი, რასა, ან შეზღუდული შესაძლებლობა ან მისი მიზანი ან შედეგი არ უნდა იყოს პირის მიმართ განსხვავებული მოპყრობა.

33. დისკრიმინაციის დაუშვებლობა სამართალუნარიანობის აღიარებისას აღადგენს ავტონომიას და წარმოადგენს პირის ღირსების პატივისცემას კონვენციის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული პრინციპების თანახმად. არჩევანის გაკეთების თავისუფლება ხშირად მოითხოვს სამართალუნარიანობას. დამოუკიდებლობა და ავტონომია გულისხმობს ძალას, რომ პირის გადაწყვეტილებას სამართალი პატივს სცემდეს. გადაწყვეტილების მიღებისას მხარდაჭერისა და გონივრული მისადაგების საჭიროება არ უნდა იქნეს გამოყენებული იმისთვის, რომ კითხვის ქვეშ დადგეს პირის სამართალუნარიანობა. განსხვავებულობის პატივისცემა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიღება, რაც ადამიანთა მრავალფეროვნებისა და ადამიანურობის ნაწილია (მუხლი 3, ქვეპუნქტი „დ“) შეუთავსებელია სამართალუნარიანობის მინიჭებასთან ასიმბალანსის ტურ საფუძველზე.

34. დისკრიმინაციის დაუშვებლობა მოიცავს გონივრული მისადაგების უფლებას სამართალუნარიანობის განხორციელებისას (მუხლი 5, პუნქტი 3). გონივრული მისადაგება განიმარტება კონვენციის მე-2 მუხლში, როგორც „აუცილებელი და სათანადო ცვლილებების და კორექტივების განხორციელება, რაც არ იწვევს არაპროპორციულ და არაჯეროვან ტვირთს, როდესაც საჭიროა კონკრეტულ შემთხვევაში იმისთვის, რომ უზურველყოფილი იქნეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის სხვებთან თანასწორ პირობებში ყველა ადამიანის უფლებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით სარგებლობა ან განხორციელება.“

სამართალუნარიანობის განხორციელებისას გონივრული მისადაგების უფლება განსხვავდება და ემატება მხარდაჭერის უფლებას. წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ გაატარონ ყველა საჭირო ცვლილება და კორექტირება, რათა მისცენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მათი სამართალუნარიანობის განხორციელების საშუალება, თუ ეს არ წარმოადგენს არაპროპოციულ და არაჯეროვან ტვირთს. ამგვარი ცვლილებები და კორექტირება, შეიძლება მოიცავდეს, თუმცა არ შემოიფარგლება, ძირითად შენობებთან, მაგალითად სასამართლოებთან, ბანკებთან, სოციალური დახმარების სამსახურებთან და კენჭისყრის ადგილებთან წვდომით, სამართლებრივი შედეგების მქონე გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობით; და პირადი დახმარებით. სამართალუნარიანობის განხორციელებისას მხარდაჭერის უფლება არ უნდა შეიზღუდოს არაპროპოციულ ან არაჯეროვან ტვირთზე მითითებით. სახელმწიფოს აქვს აბსოლუტური ვალდებულება უზრუნველყოს სამართალუნარიანობის განხორციელებაში მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა.

### **მუხლი 16: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები**

35. ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის ყველა ფორმის შესახებ კონვენციის მე-15 მუხლი ითვალისწინებს სამართალუნარიანობის აღიარებას, როგორ სამართლის წინაშე თანასწორად აღიარების შემადგენელ ნაწილს: „წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიანიჭონ ქალებს, სამოქალაქო საქმეებში, ისეთივე სამართალუნარიანობა, რაც აქვთ მამაკაცებს და იგივე შესაძლებლობები ამ სამართალუნარიანობის განსახორციელებლად. კერძოდ, მათ უნდა მისცენ ქალებს თანასწორი უფლებები კონტრაქტების დასადებად და ქონების მართვისთვის და უნდა მოეპყრან მათ თანასწორად სასამართლოებსა და ტრიბუნალებში მთელი სამართალწარმოების მანძილზე.“ (პუნქტი 2). ეს დებულება ვრცელდება ყველა ქალზე, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებზეც. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების კონვენცია აღიარებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები შეიძლება დაექვემდებარონ მრავალჯერადი და ინტერსექციონალური დისკრიმინაციის ფორმებს გენდერისა და შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებთან დაკავშირებით არსებობს იძულებითი სტერილიზაციის მაღალი მაჩვენებელი და ხშირად მათ არ გააჩნიათ კონტროლი საკუთარ რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე იმ ვარაუდით, რომ მათ არ აქვთ უნარი თანხმობა განაცხადონ სექსზე. ზოგიერთ იურისდიქციაში აგრეთვე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების ჩანაცვლების უფრო მაღალი მაჩვენებელი არსებობს, ვიდრე კაცების ჩანაცვლებისა. შესამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის ხელახლა ხაზგასმა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების სამართალუნარიანობა უნდა იქნეს აღიარებული სხვებთან თანასწორ პირობებში.

### **მუხლი 7: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები**

36. მართალია, კონვენციის მე-12 მუხლი იცავს სამართლის წინაშე ყველა პირის თანასწორობას ასაკის განურჩევლად, კონვენციის მე-7 მუხლი ცნობს ბავშვის განვითარებად უნარებს და მოითხოვს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა ქმედებაში, ბავშვის საუკეთესო ინტერესები... პირველ რიგში იქნეს გათვალისწინებული“ (პუნქტი 2) და რომ „მათ მოსაზრებებს სათანადო წონა უნდა მიენიჭოს მათი ასაკისა და მოწიფულობის გათვალისწინებით“ (მუხლი 3). მე-12 მუხლის შესასრულებლად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადასინჯონ თავიანთი კანონები იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ნების და არჩევანის პატივისცემა ხდება სხვა ბავშვებთან თანასწორ პირობებში.

### **მუხლი 9: ხელმისაწვდომობა**

37. მე-12 მუხლით გათვალისწინებული უფლებები მჭიდროდ არის გადაჯაჭვული სახელმწიფო ვალდებულებებთან, რომლებიც უკავშირდება ხელმისაწვდომობას (მუხლი 9), რადგან სამართლის წინაშე თანასწორი აღიარების უფლება აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

პირისთვის, რათა მათ ჰქონდეთ დამოუკიდებლად ცხოვრების და ცხოვრების ყველა სფეროში სრულად მონაწილეობის შესაძლებლობა. მე-9 მუხლი მოითხოვს საზოგადოებისთვის ღია დაწესებულებების და მიწოდებული საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის ხელშეშლელი გარემოებების იდენტიფიცირებას და აღმოფხვრას. ინფორმაციისა და კომუნიკაციის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა და არახელმისაწვდომი სერვისები შეიძლება ქმნიდეს პრაქტიკულ ბარიერებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზოგიერთი პირისთვის მათი სამართალუნარიანობის რეალიზაციის თვალსაზრისით. შესაბამისად, წევრმა სახელმწიფოებმა სრულად ხელმისაწვდომი უნდა გახადონ სამართალუნარიანობის განხორციელებისთვის საჭირო ყველა პროცედურა და მასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია და კომუნიკაცია. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადასინჯონ თავიანთი კანონები და პრაქტიკა, რათა უზრუნველყონ, რომ სამართალუნარიანობის და ხელმისაწვდომობის უფლებები სრულდება.

### **მუხლი 13: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა**

38. წევრ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სხვებთან თანასწორ პირობებში მიუწვდებოდეთ ხელი მართლმსაჯულებაზე. სამართალუნარიანობის უფლების აღიარებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისთვის მრავალი თვალსაზრისით. იმისთვის, რომ მიღწეული იქნეს მათი უფლებებისა და მოვალეობების აღსრულება სხვებთან თანასწორ პირობებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები აღიარებულები უნდა იქნენ სამართლის თანასწორუფლებიან სუბიექტებად სასამართლოებსა და ტრიბუნალებში. წევრმა სახელმწიფოებმა აგრეთვე უნდა უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ხელი მიუწვდებოდეთ სამართლებრივ წარმომადგენლობაზე სხვებთან თანასწორ პირობებში. ეს პრობლემა იდენტიფიცირებული იქნა ბევრი ქვეყანაში და უნდა გამოსწორდეს, სხვათა შორის იმის უზრუნველყოფითაც რომ პირებს, რომლებიც განიცდიან ჩარევას მათი სამართალუნარიანობის უფლებაში, მიეცეთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ ამგარი ჩარევა - თავად ან სამართლებრივი წარმომადგენლების მეშვეობით და დაიცვან თავიანთი უფლებები სასამართლოში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ხშირად არიან ჩამოცილებულნი მართლმსაჯულების სისტემაში მთავარი როლის - ადვოკატების, მოსამართლეების, მოწმეების ან ნაფიცი მსაჯულების როლის შესრულებისგან.

39. პოლიციის მუშაკებმა, სოციალურმა მუშაკებმა და სხვა პირველადი დახმარების გამწევმა პირებმა უნდა გაიარონ მომზადება, რათა აღიარონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სამართლის სრულ სუბიექტებად და იგივე წონა მიანიჭონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჩივრებსა და განცხადებებს, რასაც მიანიჭებდნენ შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირების საჩივრებსა და განცხადებებს. ეს მოიცავს მომზადებასა და ცნობადობის ამღლებას ამ მნიშვნელოვან პროფესიებში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აგრეთვე უნდა მიენიჭოთ სამართალუნარიანობა, რათა შეძლონ სხვებთან თანასწორ პირობებში მისცენ ჩვენება. კონვენციის მე-12 მუხლი ითვალისწინებს მხარდაჭერის გარანტიას სამართალუნარიანობის განხორციელებისას, მათ შორის სასამართლო, ადმინისტრაციულ ან სხვა სამართალწარმოებაში ჩვენების მიცემისას. ასეთი მხარდაჭერა სხვადასხვა ფორმის შეიძლება იყოს, მათ შორის კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდების აღიარებით, კონკრეტულ სიტუაციებში ვიდეო-ჩვენების დაშვებით, პროცედურული მისადაგებით, ჟესტების ენის პროფესიონალური თარგმანის უზრუნველყოფით და დახმარების სხვა მეთოდებით. სასამართლო ხელისუფლება ასევე უნდა იყოს მომზადებული და ინფორმირებული მათი მოვალეობის შესახებ, რომ პატივი სცენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სამართალუნარიანობას, ქმედუნარიანობისა და უფლებაუნარიანობის ჩათვლით.

### **მუხლები 14 და 25: თავისუფლება, ხელშეუხებლობა და თანხმობა**

40. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამართალუნარიანობის უფლების პატივისცემა სხვებთან თანაბარ პირობებში მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების პატივისცემასაც. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სამართალუნარიანობაზე უარის თქმა და მათი დაკავება ინსტიტუტებში მათი ნების საწინააღმდეგოდ, მათი თანხმობის გარეშე ან იმ პირის თანხმობით, ვინც ანაცვლებს მათ გადაწყვეტილების მიღებაში, განგრძობადი პრობლემაა; ეს პრაქტიკა წარმოადგენს თავისუფლების თვითნებურ ჩამორთმევას და არღვევს კონვენციის მე-12 და მე-14 მუხლებს. წევრმა სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ამგვარი პრაქტიკისგან და შექმნან იმ საქმეების გადასინჯვის მექანიზმი, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის განთავსება მოხდა საცხოვრებელ დაწესებულებაში კონკრეტულად მათი თანხმობის გარეშე.

41. ჯანმრთელობის დაცვის მაქსიმალური მიღწევადი სტანდარტის უფლებით სარგებლობა (მუხლი 25) მოიცავს ჯანმრთელობის დაცვის უფლებას თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე. წევრ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება ყველა ჯანმრთელობის დაცვის და სამედიცინო პროფესიონალისგან (ფსიქიატრიის მუშაკების ჩათვლით) მოითხოვონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისგან თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის მიღება რაიმე მკურნალობის დაწყებამდე. სხვებთან თანაბარ პირობებში სამართალუნარიანობის უფლებასთან კავშირში, წევრ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება არ დაუშვან, რომ გადაწყვეტილების მიღებაში ჩამნაცვლებელი პირი იძლეოდეს თანხმობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სახელით. ყველა, ჯანმრთელობის დაცვის და მედიცინის მუშაკი უნდა უზრუნველყოფდეს სათანადო კონსულტაციას, რომელშიც უშუალოდ არის ჩართული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. მათ აგრეთვე უნდა უზრუნველყონ, მათი შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად, რომ დამხმარე ან მხარდამჭერი პირები არ ჩაანაცვლებენ ან არ მოახდენენ არაჯეროვან გავლენას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადაწყვეტილებებზე.

**მუხლი 15, 16 და 17: პირადი ხელშეუხებლობის პატივისცემა და თავისუფლება წამების, ძალადობის, ექსპლოატაციის და ხელყოფისგან**

42. როგორც კომიტეტმა აღნიშნა რამდენიმე დასკვნით შენიშვნაში, იძულებითი მკურნალობა ფსიქიატრიული და სხვა, ჯანმრთელობის დაცვის და სამედიცინო მუშაკების მხრიდან არის სამართლის წინაშე თანასწორად აღიარების უფლების, პირადი ხელშეუხებლობის უფლების (მუხლი 17); წამებისგან თავისუფლების (მუხლი 15) და ძალადობის, ექსპლოატაციისა და ხელყოფისგან თავისუფლების (მუხლი 16) დარღვევა. ამგვარი პრაქტიკა უარყოფს პირის სამართალუნარიანობას აირჩიოს სამედიცინო მკურნალობა და შესაბამისად არღვევს კონვენციის მე-12 მუხლს. ამის ნაცვლად, წევრმა სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამართალუნარიანობას ყველა შემთხვევაში მიიღონ გადაწყვეტილებები, კრიზისული სიტუაციების ჩათვლით; მათ უნდა უზრუნველყონ, რომ სწორი და ხელმისაწვდომი ინფორმაცია მიეწოდებათ მომსახურების ალტერნატივების შესახებ და რომ, არა-სამედიცინო მიდგომებიც იქნება ხელმისაწვდომი; და უნდა უზრუნველყონ დამოუკიდებელი მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა. წევრ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება უზრუნველყონ მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა იმ გადაწყვეტილებებში, რომელიც ეხება ფსიქიატრიულ და სხვა სამედიცინო მკურნალობას. იძულებითი მკურნალობა განსაკუთრებული პრობლემაა ფსიქოსოციალური, ინტელექტუალური და სხვა კოგნიტური შესაძლებლობების შეზღუდვის მქონე პირებისთვის. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ პოლიტიკა და საკანონმდებლო დებულებები, რომლებიც უშვებს ან აწესებს იძულებით მკურნალობას, რადგან ეს წარმოადგენს განგრძობად დარღვევას, რომელიც გვხვდება ფსიქიატრიული ჯანმრთელობის კანონებში მთელ მსოფლიოში, მიუხედავად ემპირიული მტკიცებულებისა, რომელიც მიუთითებს მისი ეფექტურობის ნაკლებობაზე და იმ ხალხის შეხედულებებისა, რომლებმაც ისარგებლეს ფსიქიატრიული ჯანმრთელობის დაცვის სისტემით და განიცადეს ღრმა ტკივილი და ტრავმა

იძულებითი მკურნალობის შედეგად. კომიტეტი რეკომენდაცია უწევს წევრი სახელმწიფოების მიერ იმის უზრუნველყოფას, რომ პირის ფიზიკურ ან გონებრივ ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიღებული იქნეს მხოლოდ ამ პირების თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობით.

### **მუხლი 18. მოქალაქეობა**

43. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ სახელის და მათი დაბადების რეგისტრაციის უფლება, რაც სამართლის წინაშე ყველგან სუბიექტად აღიარების უფლების ნაწილია (მუხლი 18, პარ. 2). წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები რათა უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების რეგისტრაცია ხდება მათი დაბადების მომენტში. ეს უფლება გათვალისწინებულია ბავშვის უფლებების კონვენციით (მუხლი 7); თუმცადა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ არსებობს არაპროპორციულად მაღალი ალბათობა სხვა ბავშვებთან შედარებით, რომ არ მოხდება მათი რეგისტრაცია დაბადების მომენტში. ეს არა მხოლოდ იწვევს მათთვის მოქალაქეობაზე უარის თქმას, არამედ აგრეთვე აღუკვეთს მათ ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობას და შესაძლოა მათი სიკვდილიც კი გამოიწვიოს. რადგან არ არსებობს ოფიციალური დოკუმენტი მათი არსებობის შესახებ, შედარებით მაღალია ალბათობა, რომ მათი სიკვდილის გამო არავინ დაისჯება.

### **მუხლი 19: დამოუკიდებლად ცხოვრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა**

44. მე-12 მუხლით გათვალისწინებული უფლებების სრულად რეალიზებისთვის, აუცილებელია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ქონდეთ მათი ნებისა და არჩევანის განვითარების და გამოხატვის შესაძლებლობა, იმისთვის რომ განხორციელონ თავიანთი სამართალუნარიანობა სხვებთან თანასწორ პირობებში. ეს ნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა ქონდეთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად იცხოვრონ საზოგადოებაში და გააკეთონ არჩევანი და აკონტროლონ მათი ყოველდღიური ცხოვრება სხვებთან თანასწორ პირობებში, როგორც ეს გათვალისწინებულია მე-19 მუხლში.

45. მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის განმარტება საზოგადოებაში ცხოვრების უფლების გათვალისწინებით (მუხლი 19) ნიშნავს, რომ სამართალუნარიანობის განხორციელებისთვის მხარდაჭერა უნდა იქნეს აღმოჩენილი თემზე-დაფუძნებული მიდგომის მეშვეობით. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ საზოგადოება არის აქტივი და პარტნიორი იმის შესწავლის პროცესში, რა ტიპის მხარდაჭერაა საჭირო სამართალუნარიანობის განხორციელებისას, მათ შორის მხარდაჭერის სხვადასხვა ვარიანტების შესახებ ცნობადობის ამდლების გზითაც. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური კავშირები და საზოგადოებაში ბუნებრივად ხელმისაწვდომი მხარდაჭერა (რაც მოიცავს მეგობრებს, ოჯახს და სკოლებს) არის ამოსავალი გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის რეჟიმისთვის. ეს შეესაბამება კონვენციის აქცენტს საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სრულ ჩართვასა და მონაწილეობაზე.

46. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სეგრეგაცია ინსტიტუტებში განთავსების გზით ისევ წარმოადგენს მოდებულ და ვერაგ პრობლემას, რაც არღვევს კონვენციით გარანტირებულ მთელ რიგ უფლებებს. პრობლემას ამწვავებს შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის ფართოდ გავრცელებული სამართალუნარიანობის უარყოფა, რაც საშუალებას იძლევა, რომ სხვა პირებმა გასცენ თანხმობა ინსტიტუციონალურ პირობებში მათ მოსათავსებლად. ინსტიტუტების დირექტორები აგრეთვე ხშირად არიან აღჭურვილნი იმ პირების სამართალუნარიანობით, ვინც ინსტიტუტში ცხოვრობს. ეს ადამიანზე მთელ ძალაუფლებას და კონტროლს გადასცემს ინსტიტუტს. კონვენციასთან შესაბამისობისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების პატივისცემისთვის, დეინსტიტუციონალიზაცია მიღწეული უნდა იქნეს და სამართალუნარიანობა უნდა აღუდგეს ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს – მათ

უნდა შეეძლოთ არჩევა ვისთან და სად იცხოვრებენ (მუხლი 19). პირის არჩევანი იმასთან დაკავშირებით, თუ ვისთან და სად იცხოვრებს არ უნდა ახდენდეს გავლენას მისთვის მხარდაჭერის ხელმისაწვდომობაზე სამართალუნარიანობის განხორციელებისთვის.

## **22. მუხლი: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა**

47. გადაწყვეტილების მიღებაში ჩანაცვლების რეჟიმები, გარდა იმისა რომ არ შეესაბამებინ კონვენციის მე-12 მუხლს, აგრეთვე პოტენციურად არღვევენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასაც, რადგან გადაწყვეტილების მიღებაში ჩანაცვლებელი პირი ჩვეულებრივ იღებს წვდომას ამ პირთან დაკავშირებული პერსონალური და სხვა ინფორმაციის ფართო სპექტრზე. გადაწყვეტილების მიღებაში მხარდაჭერის სისტემების დაფუძნებისას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უნდა უზრუნველყონ, რომ ის პირები რომლებიც სამართალუნარიანობის განხორციელებაში აღმოუჩენენ მხარდაჭერას, იმავდროულად სრულად სცემენ პატივს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

## **მუხლი 29: პოლიტიკური მონაწილეობა**

48. სამართალუნარიანობაზე უარის თქმა ან მისი შეზღუდვა გამოიყენებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პოლიტიკურ მონაწილეობაზე, კერძოდ კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარის სათქმელად. იმისთვის, რომ სრულად მოხდეს სამართალუნარიანობის თანასწორი აღიარება ცხოვრების ყველა სფეროში, მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამართალუნარიანობის აღიარება საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში (მუხლი 29). ეს ნიშნავს, რომ პირის გადაწყვეტილების მიღების უნარი არ შეიძლება წარმოადგენდეს პოლიტიკური უფლებების განხორციელებისგან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ჩამოცილების გამართლებას, მათ შორის ისეთი უფლებებისგან ჩამოცილებას, როგორცაა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება, არჩევნებში კანდიდატის დაყენების უფლება და ნაფიცი მსაჯულის ფუნქციის შესრულება.

49. წევრ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება დაიცვან და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებას ხელი მიუწვდებოდეთ საიდუმლო კენჭისყრისას მათი არჩევანის მხარდაჭერაზე და მონაწილეობდნენ არჩევნებსა და რეფერენდუმებში დისკრიმინაციის გარეშე. კომიტეტი დამატებით ურჩევს წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლება დააყენონ საკუთარი კანდიდატურა არჩევნებში, ეფექტურად დაიკავონ თანამდებობა და ხელისუფლების ყველა დონეზე შეასრულონ საჯარო უფლებამოსილებები მათი სამართალუნარიანობის განხორციელებისას გონივრული მისადაგებითა და მხარდაჭერით, როდესაც ეს სასურველია.

## **V. იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე**

50. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების კონვენციის მე-12 მუხლის ზემოთგანხილული ნორმატიული შინაარსის და მოვალეობების გათვალისწინებით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შემდეგი ზომები ამ მუხლის სრული იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის პირები უნდა აღიარონ სამართლის სუბიექტებად, რომლებსაც გააჩნიათ სამართლებრივად პირის სტატუსი და სამართალუნარიანობა ცხოვრების ყველა სფეროში, სხვებთან თანასწორ პირობებში. ეს მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებაში ჩანაცვლების რეჟიმების და იმ მექანიზმების გაუქმებას, რომლებიც უარყოფენ სამართალუნარიანობას და რომელთა მიზანი ან შედეგი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დისკრიმინაცია. რეკომენდირებულია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ისე ჩამოაყალიბონ კანონმდებლობის ტექსტი, რომ თანაბარ პირობებში დაიცვან ყველა პირის სამართალუნარიანობა;

ბ) დააფუძნონ, აღიარონ და უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მათი სამართალუნარიანობის განხორციელებაში მხარდაჭერის ფართო სპექტრზე ხელმისაწვდომობით. ამგვარი მხარდაჭერისგან დაცვის გარანტიები უნდა ეფუძნებოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების, ნების და არჩევანის პატივისცემას. მხარდაჭერა უნდა აკმაყოფილებდეს ზემოთ, 29-ე პარაგრაფში ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს, რაც ეხება წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებს კონვენციის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესასრულებლად;

გ) დეტალური კონსულტაცია გაიარონ და აქტიურად ჩართონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით, იმ კანონმდებლობის და პოლიტიკის განვითარებაში და სხვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, რომლებიც მიმართულია მე-12 მუხლის შესრულებისკენ.

51. კომიტეტი მიესალმება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანასწორად აღიარების უფლების საუკეთესო გამოცდილებებთან და სამართალუნარიანობის განხორციელებაში მხარდაჭერასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების მიერ კვლევისა ჩატარებისა და განვითარებისთვის ზომების მიღებას და რესურსების გამოყოფას.

52. მისასალმებელი იქნება წევრი სახელმწიფოების მიერ ეფექტური მექანიზმების განვითარება გადაწყვეტილების მიღებაში როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური ჩანაცვლების წინააღმდეგ ბრძოლისთვის. ამ მიზნით, კომიტეტი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ შესაძლებლობა მნიშვნელოვანი არჩევანი გააკეთონ თავიანთ ცხოვრებაში და განავითარონ საკუთარი პიროვნება და მიიღონ მხარდაჭერა მათი სამართალუნარიანობის განხორციელებაში. ეს მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, სოციალური კავშირების განვითარების შესაძლებლობას; სხვებთან თანასწორ პირობებში მუშაობის და სარჩოს მოპოვების შესაძლებლობას; საზოგადოებაში საცხოვრებლის მრავალფეროვან არჩევანს და განათლების ყველა დონეზე ჩართვას.

17 მარტი, 1993



**ზოგადი რეკომენდაცია ითარგმნა სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისის მხარდაჭერით.**